




ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 90

2011 წლის 15 ივლისი  
ქალაქი ხაშური



„საქართველოს მთავრობის 2011 წლის 5 ივლისის №1402 განკარგულებით გამოყოფილი სახსრებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 5 ივლისის №1402 განკარგულების შესაბამისად:

1. სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი 500 000 ლარის ფარგლებში სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების რეაბილიტაცია-მშენებლობისთვის განსახორციელებელი ცალკეული ღონისძიებების მოცულობა და სამუშაოთა ნუსხა განისაზღვროს შემდეგი სახით:
  - ა) „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ ქალაქ ხაშურში და დაბა სურამში მდინარე სურამულას წმენდის სამუშაოების“ ღირებულება – 140 700 ლარის ოდენობით;
  - ბ) „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ ქალაქ ხაშურში და დაბა სურამში მდინარე სურამულას ნაპირსამაგრი სამუშაოების“ ღირებულება – 74 400 ლარის ოდენობით;
  - გ) „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ ქალაქ ხაშურში და დაბა სურამში ხიდების აღდგენის სამუშაოების“ ღირებულება – 143 840 ლარის ოდენობით;
  - დ) „ქალაქ ხაშურში და დაბა სურამში ქუჩების მოასფალტების სამუშაოების“ ღირებულება – 5 952 ლარის ოდენობით;
  - ე) „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ ქალაქ ხაშურში და დაბა სურამში გზების მოხრეშვის სამუშაოების“ ღირებულება – 49 600 ლარის ოდენობით;
  - ვ) „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ ქალაქ ხაშურში და დაბა სურამში სანიაღვრე არხების მოწყობის“ ღირებულება – 14 880 ლარის ოდენობით;

- ზ) „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ ქალაქ ხაშურში და დაბა სურამში დასუფთავების ღონისძიებების” ღირებულება – 7 241 ლარის ოდენობით;
- თ) „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ ქალაქ ხაშურში და დაბა სურამში სასმელი წყლის სათავე ნაგებობის მოწყობის” ღირებულება – 59 520 ლარის ოდენობით;
- ი) „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებზე სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის” ღირებულება – 3 867 ლარის ოდენობით;
2. განკარგულება შესასრულებლად გადაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მის: ქ. ხაშური, ტაბიძის ქ. №2), ხოლო შემდეგ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ხაშური, კოსტავას ქ. №15) ერთი თვის განმავლობაში.

ხაშურის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

  
დავით ლომიძე

